MEDEVAC czech

Caritas Czech Republic

ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი ZUGDIDI SCREENING CENTER

საქართველოს სამედიცინო კოლეგიუმი

ონკოგინეკოლოგიური სერვისების ხარისხის გაუმჯობესება

დასავლეთ საქართველოში

ავთვისებიანი დაავადებების (მათ შორის გინეკოლოგიური) წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოწვევად რჩება როგორც გლობალურად, ასევე საქართველოსთვის 21-ე საუკუნეში. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა დედაქალაქიდან დაშორებულ რეგიონებში, რომლის მოსახლეობისთვისაც ონკოგინეკოლოგიური დაავადებების პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მცირეა.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ემსახურება ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის ახალი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, გააუმჯობესოს ონკოგინეკოლოგიური სერვისების ხარისხი სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონებში. პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო მმართველობაში არსებული (ჰოლდინგში შემავალი) ბათუმისა და რუხის საავადმყოფოებისათვის თანამედროვე სამედიცინო აპარატურის შეძენასა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარებას სამედიცინო პერსონალისთვის.

ადრეულ გამოვლენა სიცოცხლის შენარჩუნება შეძლია!

პროექტის მიზანი

ონკოგინეკოლოგიურ სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა დასავლეთ საქართველოში.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

- რუხისა და ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოების გინეკოლოგიური განყოფილებები აღიჭურვება უახლესი თაობის ენდოსკოპიური აპარატურით და ქირურგიული ხელსაწყოებით.
- რესპუბლიკური საავადმყოფოების სულ მცირე 25 პროფესიონალი და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სოფლის ამბულატორიების 200 ექიმი გადამზადდება ონკოგინეკოლოგიაში.
- გაიზრდება რეგიონის მოსახლეობის ცნობიერება კიბოს პრევენციის შესახებ.

სამიზნე ჯგუფები

- რუხისა და ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოების სამედიცინო პერსონალი
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სოფლის ამბულატორიის ექიმები
- სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა

პროექტის მიმართულებები

- **საავადმყოფოების აღჭურვა** უახლესი თაობის ენდოსკოპიური აპარატურით და ქირურგიული ხელსაწყოებით, რათა გაიზარდოს რეგიონის მოსახლეობის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მკურნალობის თანამედროვე, მცირე ინვაზიურ (ე.წ. უსისხლო ოპერაცია) მეთოდებზე.
- **სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება** ონკოგინეკოლოგიის მიმართულებით – ავთვისებიანი დაავადებების დიაგნოსტირების, მკურნალობისა და პრევენციის თანამედროვე მეთოდების შესწავლა.
- ჯანდაცვის პირველადი რგოლის სამედიცინო პერსონალის **ჩართულობის გაზრდა** ონკოგინეკოლოგიური დაავადებების პრევენციის, ადრეული გამოვლენის და მართვის საკითხებში.
- ონკოგინეკოლოგიური დაავადებების პრევენციის და ადრეული გამოვლენის შესახებ **ცნობიერების გაზრდა** რეგიონის მოსახლეობაში.

პროექტის ბიუჯეტი: 205 000 €

დონორი: ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს MEDEVAC-ის პროგრამა

პროექტის ბენეფიციარები: საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროექტის პარტნიორი: ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი,
გივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N4, ბინა N24
(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz
georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015